



## მემორანდუმი

ქ. თბილისი

01.10.2010

საქართველოს საუნივერსიტეტო სივრცის განვითარების თვალსაზრისით შემთხველოვანია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა თანამშრომლობა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. ამ მემორანდუმით უნივერსიტეტები ადასტურებენ, რომ ისინი წარმატებულად დაძლევენ ჩვენი დროის მოთხოვნებს მომავალი თაობების აღზრდისა და მათი ევროპულ სივრცეში წარმატებით ინტეგრაციის მიზნით.

**უნივერსიტეტები ითანამშრომლებენ შემდეგი მიმართულებით:**

1. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება;
2. ერთობლივი კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელების უზრუნველყოფა;
3. უნივერსიტეტების სტუდენტებისათვის გაცვლითი პროგრამების შემუშავება;
4. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის უნივერსიტეტების სასაწავლო ფართის, ტექნიკური ბაზისა და წიგნადი და არაწიგნადი საბიბლიოთეკო ფონდების ერთობლივი მოხმარების უზრუნველყოფა;
5. უნივერსიტეტებს შორის პარტნიორობა ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში.

**გარდამავალი დებულებანი:**

მემორანდუმი ძალაშია მშარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 01.10.2010 წლიდან 01.10.2015 წლამდე. მემორანდუმის მოქმედების ვადის გადასინჯვა შესაძლებელია მშარეთა წინასწარი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რაც უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით ახალი მემორანდუმის ან ამ მემორანდუმის დამატების სახით;

მემორანდუმი შესრულებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული მალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ინახება მემორანდუმის მშარეებთან.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის  
კანცლერი

დოქტ. ფათიშვილი საინი

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
რექტორი

დოქტ. არჩილ ფრანგიშვილი

